საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია
ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია

წესდება

(პროექტი)

თბილისი 2023

1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია (შემდგომში „ასოციაცია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია ავტორების და საავტორო უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი უფლებების კოლექტიურად სამართავად და წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

1.2. ასოციაცია არსებობს, იმართება და ფუნქციონირებს წესდების, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.

1.3. ასოციაციის სრული სახელწოდებაა: ა(ა)იპ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, შემოკლებით: საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია. ინგლისურ ენაზე: NNLE Georgian Copyright Association - Collective Management Organization, შემოკლებით: GCA. ს/კ: 202065415.

1.4. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია არის ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აგვისტოს #2/9-152 დადგენილებით რეგისტრირებული კავშირის, საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების (GESAP) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 17 თებერვლის #585 გადაწყვეტილებით ხელახლა რეგისტრირებული კავშირის საქართველოს ავტორთა საზოგადოების (სას) - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია #1-ის უფლებამონაცვლე.

1.5. ასოციაციის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მ. კოსტავას ქ. N63.

1.6. ასოციაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი: contact@gca.ge.

1.7. ასოციაციის ვებსაიტი: www.gca.ge.

1.8. სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. დრო ასოციაციის რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე ქმნის არასრულ სამეურნეო წელს.

1.9. ასოციაცია წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

1.10. ასოციაცია რეგისტრაციის შემდეგ იძენს იურიდიული პირის სტატუსს და უფლებამოსილებას დაკავებული იყოს ამ წესდებით განსაზღვრული და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით. ასოციაციას აქვს საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში. შესაძლოა ჰქონდეს ბეჭედი. ასოციაციას უფლება აქვს ჰქონდეს სხვადასხვა ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, გამოვიდეს თავისი სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. ასოციაციას აქვს სრული დამოუკიდებლობა შიდა ორგანიზაციის, საკუთარი სახსრებისა და ქონების განკარგვის საკითხებში.

1.11. ასოციაცია, თავისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე მოქმედებს ტერიტორიული პრინციპის შეუზღუდავად.

2. ასოციაციის დამფუძნებლები

2.1. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აგვისტოს #2/9-152 დადგენილებით რეგისტრირებული კავშირის-საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების (GESAP) დამფუძნებლები არიან:

2.1.1. ვაჟა აზარაშვილი, დაბადებული 13.07.1936 წ. ქ. თბილისი, პირადი #0102402646, პროფესიით კომპოზიტორი, მცხოვრები ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 20-ა, ბინა 33.

2.1.2. ნოდარ მალაზონია, დაბადებული 27.04.1929 წ. ქ. ოზურგეთი, პირადი #01001000607, პროფესიით მხატვარი, მცხოვრები ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. 55.

2.1.3. ელგუჯა შაფათავა, დაბადებული 27.01.1951 წ. ქ. თბილისი, პირადი #01020004601, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი, მასწავლებელი, საავტორო სამართალმცოდნე, მცხოვრები ქ. თბილისი, დელისის III ქუჩა, კორპუსი 2, ბინა 7.

2.1.4. ანზორ ქუთათელაძე, დაბადებული 05.01.1933 წ. ქ. თბილისი, პირადი #01020951804, პროფესიით რეჟისორი, მცხოვრები ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 75, კორპ. 4, ბინა 34.

2.1.5. გიორგი გუნია, დაბადებული 19.10.1938 წ. ქ. თბილისი, პირადი #01017006035, პროფესიით თეატრალური მხატვარი, მცხოვრები ქ. თბილისი გ. ტაბიძის ქ. 24.

2.1.6. ჯუმბერ ამანათაშვილი, დაბადებული 06.02.1966 წ. ქ. თბილისი, პირადი #01014001463, პროფესიით საესტრადო სიმღერების ავტორ-შემსრულებელი, მცხოვრები ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. 9/14.

2.1.7. თამარ (თამუნა) ჯოხაძე, დაბადებული 06.09.1973 წ. ქ. თბილისი, პირადი #01024006637, პროფესიით

საესტრადო სიმღერების ავტორ-შემსრულებელი, მცხოვრები ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 103.

2.1.8. თინათინ ჰაინე, დაბადებული 20.07.1941 წ. ქ. თბილისი, პირადი #01030004393, პროფესიით ფერმწერი, სცენოგრაფი, ხელოვნებათმცოდნე, მცხოვრები ქ. თბილისი, ბუხაიძის მე-2 შეს.16.

2.1.9. მარინა მგალობლიშვილი, დაბადებული 18.01.1949 წ. ქ. თბილისი, პირადი #01020679231, პროფესიით საავტორო სამართალმცოდნე, ლიტერატორი, მთარგმნელი, მცხოვრები ქ. თბილისი, გალაკტიონის ქ. 3/5.

2.1.10. გიორგი მარგველაშვილი, დაბადებული 25.03.1958 წ. ქ. ქუთაისი, პირადი #01030007587, პროფესიით რეჟისორი, მცხოვრები ქ. თბილისი, ნინოშვილის ქ. 20/45.

2.1.11. ჯემალ კერესელიძე, დაბადებული 23.05.1943 წ. ქ. ქუთაისი, პირადი #01005005798, პროფესიით ფილოლოგი, ჟურნალისტი, მცხოვრები ქ. თბილისი, დგებუაძის ქ. 1.

2.1.12. ნუგზარ ვაწაძე, დაბადებული 19.06.1937 წ. ქ. თბილისი, პირადი #01020006349, პროფესიით კომპოზიტორი, მცხოვრები ქ. თბილისი, საკაძის ქ. 11-ა.

2.1.13. ბაადურ (ბაჩა) მალაზონია, დაბადებული 04.12.1965 წ. ქ. თბილისი, პირადი #01007014832, პროფესიით მხატვარ-დიზაინერი, ფოტოგრაფიკოსი, მცხოვრები ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. 55.

2.1.14. გიორგი მაჭარაშვილი, დაბადებული 04.11.1956 წ. ქ. ბათუმი, პირადი #01009007661, პროფესიით მსახიობ-შემსრულებელი, მუსიკალური ნაწარმოებების (საესტრადო) ავტორი, მცხოვრები ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას III კვ., 25-ე კორპ., ბინა 46.

2.1.15. მერაბ მერაბიშვილი, დაბადებული 20.09.1946 წ. ქ. თბილისი, პირადი #01024027011, პროფესიით კომპოზიტორი, მცხოვრები ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 41.

2.1.16. ლალი სულთანიშვილი, დაბადებული 1948 წ. ქ. თბილისი, პირადი #01017043330, პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, მცხოვრები ქ. თბილისი, ვერცხლის ჩიხი 29.

2.1.17. ალექს ჭიკაძე, დაბადებული 20.08.1956 წ. ქ. თბილისი, პირადი #01019005910, პროფესიით ბიოლოგი, ბ.მ.კ., ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, მცხოვრები ქ. თბილისი, ტოროშელიძის ქ. 10.

2.1.18. თეიმურაზ ხუციშვილი, დაბადებული 25.02.1948 წ. ქ. თბილისი, პირადი #01024614337, პროფესიით მხატვარ- დიზაინერი, მცხოვრები ქ. თბილისი, პირველი ხეივნის ქ. 7.

2.1.19. ომარ მინდორაშვილი, დაბადებული 27.03.1943 წ. ქ. თბილისი, პირადი #01030010558, პროფესიით კომპოზიტორი, მცხოვრები ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. 44.

2.1.20. ანზორ ერქომაიშვილი, დაბადებული 10.08.1940 წ. ქ. ბათუმი, პირადი #01015001522, პროფესიით საგუნდო-დირიჟორი, მცხოვრები ქ. თბილისი, აბანოს ქ. 21.

2.1.21. თეიმურაზ თარიმანიშვილი, დაბადებული 05.01.1954 წ. საგარეჯოს რ-ნი სოფ. ანთოკი, პირადი #01020011177, პროფესიით იურისტი, მცხოვრები ქ. თბილისი, გორდის ქ. 23.

2.1.22. ნანული ყორიაული, დაბადებული 16.08.1955 წ. თიანეთის რ-ნი სოფ. მაგრანეთი, პირადი #01023009338, პროფესიით მხატვარი-მოქანდაკე, მცხოვრები ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. 34, ბინა 7

2.1.23. ზურაბ გვიშიანი, დაბადებული 18.11.1963 წ. ქ. თბილისი, პირადი N01007002713, პროფესიით ინჟინერი ტ.მ.დ. დოცენტი, მცხოვრები ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 101-58.

2.1.24. ლიანა ჩადუნელი, დაბადებული 22.12.1964 წ. ქ. კასპი, პირადი N01032540598, პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი, მცხოვრები ქ. თბილისი, ჯანაშიას ქ. 10.

2.1.25. ლიდია ქათამაშვილი, დაბადებული 20.04.1951 წ. ქ. თბილისი, პირადი N01019003684, პროფესიით ბუღალტერი, მცხოვრები ქ. თბილისი, თემქის დას. მე-4 მ/რ-ნი, მე-8 კორპ. ბინა 82.

2.1.26. სიმონ ცინცაძე, დაბადებული 20.10.1939 წ. ქ. თბილისი, პირადი N01038184880, პროფესიით მუსიკათმცოდნე, მცხოვრები ქ. თბილისი, ლ. ასათიანის ქ. 66.

3. ასოციაციის მიზნები

3.1. ასოციაციის მიზნებია:

3.1.1. საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი წესით და საავტორო უფლების მფლობელებთან დადებული ხელშეკრულებებისა და საზღვარგარეთის მსგავს ან ანალოგიურ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების შესაბამისად, საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა.

3.1.2. საავტორო უფლებების მფლობელთათვის, ასოციაციის მიერ საავტორო ქონებრივი უფლებების მართვისას, გამჭვირვალე, თანაბარი და არადისკრიმინაციული გარემოს ჩამოყალიბება.

3.1.3. საავტორო უფლებების გამოყენების სფეროში ჩართული პირებისთვის (მოსარგებლეებისათვის), ასოციაციის მიერ საავტორო ქონებრივი უფლებების მართვისას, გამჭვირვალე, თანაბარი და არადისკრიმინაციული გარემოს ჩამოყალიბება.

3.1.4. საავტორო უფლებების გამოყენების სფეროში ეფექტიანი მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

3.1.5. საავტორო უფლებების სფეროს განვითარების ხელშეწყობა და ამ სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა.

3.1.6. საავტორო უფლებების უკანონო გამოყენების აღკვეთის და შემდგომი პრევენციის მიზნით, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა.

4. ასოციაციის საქმიანობა

4.1. წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ასოციაცია ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

4.1.1. საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის მიზნით უფლების მფლობელებთან ხელშეკრულებების გაფორმება.

4.1.2. საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის მიზნით საზღვარგარეთის მსგავს ან ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების გაფორმება და წარმომადგენლობის განხორციელება.

4.1.3. საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის პროცესში, საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების გამოყენებაზე ნების დართვა ან ნებართვის გარეშე მათი გამოყენების აკრძალვა.

4.1.4. საავტორო უფლებებით მოსარგებლეებთან მოლაპარაკების წარმოება გადასახდელი ჰონორარისა და ნაწარმოების გამოყენების პირობების შესახებ.

4.1.5. საავტორო უფლებებით მოსარგებლეებთან სალიცენზიო შეთანხმებებისა და შეთანხმებების გაფორმება, მისთვის გადაცემული უფლებების მართვის მანდატისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) შესაბამისად.

4.1.6. ჰონორარის შეგროვება გაცემული სალიცენზიო შეთანხმებებისა და შეთანხმებების საფუძველზე.

4.1.7. შეგროვებული ჰონორარის დროულად განაწილება და გადახდა უფლების მფლობელებისათვის თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით და ნაწარმოებების ფაქტობრივი გამოყენების პროპორციულად.

4.1.8. ასოციაციის არაწევრი უფლების მფლობელების წარმოდგენა და მათთვის განკუთვნილი ჰონორარის შეგროვება (მათ შორის, მუსიკალური ნაწარმოების ტექსტით ან ტექსტის გარეშე რეპროდუცირების, საჯარო შესრულების ან/და საჯარო გადაცემის შემთხვევაში) კანონით დადგენილი წესით.

4.1.9. საავტორო უფლებების გამოყენების (სარგებლობის) მონიტორინგის წარმოება, ინფორმაციის სისტემატიზირება, მონაცემთა ბაზების შექმნა, ინფორმაციის დაცულობის და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

4.1.10. საავტორო უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის დაინტერესებული პირებისთვის მიწოდების უზრუნველყოფა.

4.1.11. უფლების მფლობელების და მოსარგებლეებისთვის საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ მართვასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

4.1.12. სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში იმ უფლების მფლობელების ინტერესების წარმოდგენა, რომელთა უფლებებსაც ასოციაცია მართავს, აგრეთვე ყველა იმ სამართლებრივი ქმედების განხორციელება, რომელიც აუცილებელია უფლების მფლობელის უფლებების დასაცავად და აღსასრულებლად;

4.1.13. სახელმწიფოს მიერ საავტორო უფლებების სფეროში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებაში ხელშეწყობა.

4.1.14. საკანონმდებლო წინადადებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

4.1.15. საავტორო უფლებების შესახებ სამეცნიერო და სოციოლოგიური კვლევების ჩატარება.

4.1.16. საავტორო უფლებების სფეროს პროფესიონალების საქმიანობის ხელშეწყობა.

4.1.17. საგამომცემლო და ბეჭდითი საქმიანობა.

4.1.18. სამუშაო შეხვედრების, თემატური სემინარების და დისკუსიების ორგანიზება.

4.1.19. სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო, მეცნიერული და შემეცნებითი პროგრამების განხორციელება.

4.1.20. უფლების მფლობელების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, ასოციაციის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება.

5. ასოციაციის წევრობა

5.1. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი საავტორო უფლების მფლობელი, ქმედუნარიანი ფიზიკური ან უფლებაუნარიანი იურიდიული პირი, ან მისი მემკვიდრე/უფლებამონაცვლე, ვინც განაცხადა თანხმობა საკუთარი ქონებრივი უფლებების ან/და უფლებათა კონკრეტული კატეგორიის

კოლექტიურ საფუძველზე მართვის უფლების ასოციაციისათვის გადაცემის შესახებ, აღიარებს ასოციაციის წესდებას, იზიარებს მის მიზნებს, ამოცანებს და აქვს სურვილი ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.

5.2. უფლების მფლობელს შეუძლია წევრობის შესახებ განაცხადი წარუდგინოს ასოციაციის გამგეობას როგორც მატერიალური სახით, ასევე, გამოაგზავნოს იგი ელექტრონულად ასოციაციის ვებსაიტზე, www.gca.ge წევრობის განაცხადის შევსებით ან ასოციაციის ელექტრონულ ფოსტაზე contact@gca.ge გამოგზავნით. ასოციაციის გამგეობა ვალდებულია უფლების მფლობელის განაცხადი ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ განიხილოს მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

5.3. ასოციაციის წევრად მიღება ხდება ასოციაციის გამგეობის მიერ, ხმათა უმრავლესობით. ასოციაციის წევრობის პირობას წარმოადგენს უფლების მფლობელს და ასოციაციას შორის, საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება და ასოციაციის გამგეობის მიერ დადგენილი წესით, უფლების მფლობელის რეპერტუარის ასოციაციაში რეგისტრირება.

5.4. ასოციაციის წევრი, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდული პირი, წევრთა საერთო კრებაზე გამართულ კენჭისყრაში სარგებლობს ერთი ხმის უფლებით.

5.5. ასოციაციის წევრს შეუძლია საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღოს დისტანციურად. ასოციაცია კი ვალდებულია უზრუნველყოს ასოციაციის წევრის მიერ საერთო კრებაში ასეთი წესით მონაწილეობის მიღება. ამასთან, თუ კრება იმართება ფიზიკური დასწრებით და ასოციაციის წევრს სურს მასში მონაწილეობა მიიღოს დისტანციურად, იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობოს ასოციაციას არა უგვიანეს კრების ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

5.6. ასოციაციის წევრს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი იმ პირობით, რომ ასეთი წარმომადგენლობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. ინტერესთა კონფლიქტი აგრეთვე არსებობს, თუ აღნიშნულ ორგანიზაციაში უფლების მფლობელსა და წარმომადგენელს აქვთ უფლებების სხვადასხვა კატეგორიის უფლების მფლობელის სტატუსი. ამასთან, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გაიცემა მხოლოდ კონკრეტულ საერთო კრებაში მონაწილეობის მიზნით. საერთო კრებაში მონაწილე წარმომადგენელი სარგებლობს უფლების მფლობელის ანალოგიური უფლებებითა და ვალდებულებებით.

5.7. ასოციაციის წევრის უფლებებია:

5.7.1. ასოციაციასთან კომუნიკაცია როგორც ფიზიკურად, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით: ასოციაციის ვებსაიტის, www.gca.ge; და ელექტრონული ფოსტის, contact@gca.ge მეშვეობით;

5.7.2. ასოციაციის წევრთა საერთო კრებაში მონაწილეობა;

5.7.3. ასოციაციის თავმჯდომარის, გამგეობის, სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა და ასოციაციის თავმჯდომარედ, გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩევის შესახებ საკუთარი კანდიდატურის დაყენება;

5.7.4. ასოციაციისგან კუთვნილი ჰონორარის და მისი შეგროვების შესახებ ინფორმაციის მიღება;

5.7.5. ასოციაციისგან საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის შესახებ კონსულტაციების მიღება;

5.7.6. კვალიფიკაციის და გამოცდილების მიხედვით, ასოციაციის სხვადასხვა პროგრამებში და ღონისძიებებში მონაწილეობა;

5.7.7. ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება;

5.7.8. ასოციაციის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშების, აუდიტის დასკვნების და სხვა ინფორმაციის გაცნობა.

5.8. ასოციაციის წევრს ასევე უფლება აქვს შეწყვიტოს ასოციაციასთან დადებული, უფლებების სამართავად გადაცემის ხელშეკრულება სრულად ან მისთვის სასურველ ფარგლებში, აგრეთვე, როგორც ასოციაციის წევრი, ასევე არაწევრი უფლების მფლობელი უფლებამოსილია ასოციაციისგან გამოითხოვოს ნებისმიერი უფლება, უფლებათა კონკრეტული კატეგორია ან უფლების კატეგორიათა ჯგუფები დაკავშირებული სასურველ ნაწარმოებთან (გარდა კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით (ნაწარმოების კაბელით ხელახალი გადაცემის შემთხვევაში), მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 51-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებისა), აღნიშნულის თაობაზე ასოციაციისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან არანაკლებ ექვსი თვის ვადაში.

5.9. წესდების 5.8. მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულებიდან გასვლა ან ნებისმიერი უფლების, უფლებათა კონკრეტული კატეგორიის ან უფლების კატეგორიათა

ჯგუფების გამოთხოვა ძალაში შედის მიმდინარე კალენდარული წლის დასრულების შემდეგ და უფლების მფლობელის მხრიდან ასოციაციის მიერ ასეთი მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნას მომავალი კალენდარული წლის დაწყებამდე ექვსი თვით ადრე.

5.10. უფლების მფლობელს უნარჩუნდება იმ ჰონორარის მოთხოვნის უფლება, რომელიც ასოციაციამ მის სახელზე შეაგროვა გაცემული ნებართვის ან ლიცენზიის შეწყვეტამდე ან ასეთი მოთხოვნის წაყენებამდე.

5.11. წესდების 5.8, 5.9. და 5.10. მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, უფლების მფლობელი არ იზღუდება საკუთარი ქონებრივი უფლებები სამართავად გადასცეს უცხო ქვეყნის კოლექტიური მართვის ორგანიზაციას.

5.12. ასოციაციის წევრის მოვალეობაა:

5.12.1. ასოციაციის წესდების დაცვა.

5.12.2. ასოციაციის მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება.

5.12.3. ასოციაციისთვის სამართავად გადაცემული საკუთარი საავტორო ქონებრივი უფლებების ასოციაციის მეშვეობით განხორციელება და მართვა.

5.12.4. ასოციაციის რეპუტაციის და ქონების დაცვა.

5.12.5. ასოციაციის მიზნების და ამოცანების განხორციელების ხელშეწყობა.

5.12.6. საწევრო შენატანის გადახდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.13. ასოციაციის წევრს ეკრძალება ასოციაციის სახელით საქმიანი ურთიერთობის დამყარება პირადი ინტერესებით დაკავშირებულ ნებისმიერ პირთან.

5.14. ასოციაციის წევრს შეიძლება ჰქონდეს კანონმდებლობიდან, ამ წესდებიდან და ასოციაციის შიდა რეგულაციებიდან, აგრეთვე ასოციაციასთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა უფლებები და მოვალეობები.

5.15. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

5.15.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე.

5.15.2. სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში.

5.15.3. გარდაცვალებისას, აგრეთვე სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში. კორპორაციული წევრის შემთხვევაში, მისი ლიკვიდაციისას.

5.15.4. საწევროს შენატანის არსებობისას, გამგეობისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში.

5.15.5. ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ წევრის ქმედება არ შეესაბამება წესდების მოთხოვნებს და/ან ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, აგრეთვე ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის დროს.

5.15.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.16. უფლებამოსილების შეწყვეტისას:

5.16.1. წევრმა უნდა უზრუნველყოს ამ წესდებით და ასოციაციასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.16.2. წევრს უფლება აქვს მოახდინოს ასოციაციასთან საბოლოო ანგარიშსწორება და მიიღოს კუთვნილი ჰონორარი.

5.16.3. წევრს არა აქვს უფლება მოითხოვოს ასოციაციის ქონება, ან მისი ნაწილი, რომელიც მან გადასცა ასოციაციას.

5.17. საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს განმეორებით მოითხოვოს ასოციაციაში გაწევრიანება, ან ითხოვოს ასოციაციის მიერ მისი კუთვნილი ჰონორარის წევრობის გარეშე შეგროვება და გადახდა.

5.18. ასოციაცია ვალდებულია მართოს მისთვის გადაცემული უფლება, უფლებათა კონკრეტული კატეგორია ან ნაწარმოები თუ ეს თანხვედრაშია მისი საქმიანობის ფარგლებთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასოციაცია ობიექტურად დასაბუთებული მიზეზის საფუძველზე უარს იტყვის უფლების მართვაზე.

5.19. ასოციაციის მიერ 5.18. მუხლის შესაბამისად, უფლების მართვაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს კონკრეტული უფლების, უფლებათა კატეგორიის, ნაწარმოების მართვაზე შესაბამისი მანდატის/აკრედიტაციის არ ქონა.

6. ასოციაციის წევრთა საერთო კრება

6.1. ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება.

6.2. საერთო კრებას იწვევს ასოციაციის გამგეობა/თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ მაინც. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოწვეულ იქნას რიგგარეშე საერთო კრება.

6.3. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ასოციაციის თავმჯდომარის, გამგეობის წევრთა უმრავლესობის, სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ ხუთი წევრის და/ან ასოციაციის წევრთა ერთი მეათედის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც იმართება ასეთი მოთხოვნის თარიღიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

6.4. საერთო კრება შეიძლება გაიმართოს როგორც ფიზიკური შეკრებით, ასევე დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით.

6.5. საერთო კრების გამართვის წესსზე გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა.

6.6. საერთო კრებას თავმჯდომარეობს ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც ასევე ნიშნავს კრების მდივანს.

6.7. საერთო კრების ჩატარების და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და მდივანი.

6.8. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება და/ან მასზე წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილია ასოციაციის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი.

6.9. საერთო კრების გადაწყვეტილებაუუნარობის შემთხვევაში, ერთი თვის ვადაში ინიშნება განმეორებითი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე და/ან მასზე წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

6.10. საერთო კრების მოწვევის შესახებ ასოციაციის წევრებს ეცნობებათ კრების ჩატარებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე ელექტრონული კომუნიკაციის და/ან ასოციაციის ვებსაიტზე ინფორმაციის გამოქვეყნების გზით, დღის წესრიგის მითითებით. დღის წესრიგი განისაზღვრება ასოციაციის გამგეობის მიერ, მათ შორის, განსახილველი საკითხების შესახებ, საერთო კრების ჩატარების ინიციატორი პირ(ებ)ის წერილობითი მოთხოვნის გათვალისწინებით.

6.11. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით. ფარული კენჭისყრის ჩატარებისათვის საერთო კრებაზე მიიღება ცალკე გადაწყვეტილება.

6.12. საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე და/ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა ხმების უმრავლესობით. ცალკეულ საკითხებზე შეიძლება დადგინდეს გადაწყვეტილების მიღების სხვა წესი.

6.13. საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

6.13.1. ასოციაციის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება.

6.13.2. ასოციაციის წესდების მიღება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მათ შორის, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ჰონორარის განაწილების ძირითად პრინციპებსა და წესებს; აგრეთვე, ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებულ წესებს.

6.13.3. ასოციაციის გამგეობის, თავმჯდომარის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა; მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და განხილვა, მათი ანაზღაურებისა და წახალისების, როგორიცაა ფულადი და არაფულადი სარგებლისა და საპენსიო დანამატების გაცემასთან დაკავშირებული ძირითადი წესების, აგრეთვე ანაზღაურებასთან დაკავშირებული სხვა წესების დამტკიცება.

6.13.4. შეგროვებული ჰონორარის განაწილების ზოგადი წესებისა და პოლიტიკის განსაზღვრა;

6.13.5. გაუნაწილებელი ჰონორარის განკარგვის ზოგადი წესებისა და პოლიტიკის განსაზღვრა;

6.13.6. გაუნაწილებელი ჰონორარის გამოყენება;

6.13.7. შეგროვებული ჰონორარიდან მიზნობრივი დაქვითვების განხორციელება;

6.13.8. რისკების მართვის პოლიტიკის განსაზღვრა და საჭიროებისამებრ, ასოციაციის გამგეობის/თავმჯდომარისათვის შესაბამისი სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რისკების მართვასთან დაკავშირებით, საერთო კრებაზე წამოჭრილი საკითხის შესაბამისად.

6.13.9. ასოციაციის წევრთა არანალებ ერთი მეათედის მოთხოვნით, დარგის სპეციალისტის მოწვევა ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ კვალიფიციური დასკვნის მოსამზადებლად.

6.13.10. უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა;

6.13.11. ასოციაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის, ასევე ასოციაციის მიზნების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

6.13.12. იურიდიული პირის დაფუძნება და სხვა იურიდიული პირის აქციების ან/და წილების შეძენა;

6.13.13. სესხის აღება, სესხის გაცემა, თავდებობა ან სესხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება;

6.13.14. ასოციაციის საქმიანობის გაკონტროლება აუდიტორის დანიშვნითა და გათავისუფლებით;

6.13.15. ასოციაციის საქმიანობის გაკონტროლება, გამჭვირვალობის წლიური ანგარიშის დამტკიცებით;

6.13.16. ასოციაციის სპეციალური ფონდების შექმნა;

6.13.17. სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომელიც ასოციაციის სხვა ორგანოთა კომპეტენციას არ განეკუთვნება.

7. ასოციაციის გამგეობა და თავმჯდომარე

7.1. ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ ფუნქციებს.

7.2. გამგეობას ირჩევს წევრთა საერთო კრება ღია ან ფარული კენჭისყრით, დამსწრე და/ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა ხმების უმრავლესობით.

7.3. ასოციაციის გამგეობა შედგება სამი წევრისგან და აირჩევა ხუთი წლის ვადით.

7.4. გამგეობის წევრობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს ასოციაციის წევრთა არანაკლებ ერთი მეათედისაგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს. საინიციატივო ჯგუფი ვალდებულია კანდიდატობაზე წერილობითი განაცხადით მიმართოს ასოციაციის გამგეობას, არანაკლებ გამგეობის არჩევამდე სამი დღით ადრე.

7.5. გამგეობის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი გამგეობის არჩევამდე.

7.6. გამგეობის წევრად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი. (მოწვეული პირი)

7.7. გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

7.8. ახლად არჩეული გამგეობა პირველ სხდომას მართავს არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში.

7.9. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ როგორც ფიზიკურად შეკრების, ასევე დისტანციური წესით. გამგეობის სხდომა მოიწვევა გამგეობის წევრის და/ან მისი თავმჯდომარის ინიციატივით, ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ სამი დღით ადრე.

7.10. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ფიზიკურად და/ან დისტანციურად გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.

7.11. სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის წევრთა ხმების უმრავლესობით.

7.12. გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება დადგენილების სახით, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის (ასოციაციის) თავმჯდომარე.

7.13. საერთო კრების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ასოციაციის გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

7.13.1. ასოციაციის შიდა რეგულაციების და სიმბოლიკის დამტკიცება;

7.13.2. ასოციაციის წლიური ფინანსური გეგმის და ბიუჯეტის დამტკიცება;

7.13.3. წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

7.13.4. საწევრო შენატანის პერიოდულობის და ოდენობის დადგენა;

7.13.5. ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით სტრუქტურული ქვედანაყოფების, ფილიალების, რეგიონალური ოფისების, წარმომადგენლობების, სააგენტოების (მათ შორის საერთაშორისო) შექმნა/გაუქმება;

7.13.6. ასოციაციის ადმინისტრაციის სტრუქტურის, თანამშრომლების საქმიანობის მიმართულებების, მათი ანაზღაურების წესის, ბონუსების და მასტიმულირებელი ხასიათის სხვა საშუალებების სტრუქტურისა და ოდენობების დადგენა;

7.13.7. ასოციაციის საქმიანობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით მიზნობრივი კომისიების შექმნა/გაუქმება;

7.13.8. საავტორო უფლებებით სარგებლობისთვის სალიცენზიო პირობების შემუშავება და გადასახდელი ჰონორარის ოდენობის (ტარიფი) დადგენა;

7.13.9. საავტორო უფლებების სხვადასხვა კატეგორიის მოსარგებლეებთან გასაფორმებელი სალიცენზიო შეთანხმებების/შეთანხმებების ფორმების დამტკიცება;

7.13.10. საავტორო უფლების მფლობელებთან მათი უფლებების მართვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ფორმების დამტკიცება;

7.13.11. შეგროვებული ჰონორარის საავტორო უფლების მფლობელებს შორის განაწილების და გადახდის დეტალური წესების განსაზღვრა;

7.13.12. ასოციაციის ფინანსური და აუდიტის ანგარიშების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში ასოციაციის საერთო კრებისთვის რეკომენდაციების წარდგენა;

7.13.13. ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა;

7.14. სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ასოციაციის სხვა ორგანოთა კომპეტენციას არ განეკუთვნება.

7.15. გამგეობის სხდომებს წარმართავს გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის ასოციაციის თავმჯდომარე. იგი შეიმუშავებს გამგეობის სხდომის დღის წესრიგს, ზედამხედველობს გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას და ახდენს გამგეობის წევრთა კოორდინირებას.

7.16. გამგეობის (ასოციაციის) თავმჯდომარეს მინიჭებული აქვს აღმასრულებელ-განმკარგულებელი უფლებამოსილება და წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

7.17. გამგეობის (ასოციაციის) თავმჯდომარეს გამგეობასთან ერთად ირჩევს წევრთა საერთო კრება ხუთი

წლის ვადით, გამგეობის არჩევისთვის წესდების 7.2. მუხლით დადგენილი წესით. ერთი და იგივე პირი ასოციაციის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

7.18. ასოციაციის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ თავისი უფლება-მოვალეობების სხვაგვარად შეუსრულებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ პირს წარმოადგენენ ასოციაციის გამგეობის სხვა წევრები. მათ უფლება აქვთ თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულონ როგორც ერთობლივად, ასევე ერთპიროვნულად.

7.19. გამგეობის (ასოციაციის) თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი (მოწვეული პირი).

7.20. თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

7.21. გამგეობის (ასოციაციის) თავმჯდომარის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:

7.21.1. წესდებით დადგენილი მიზნების მისაღწევად ასოციაციის საქმიანობის გამჭვირვალედ და ეფექტიანად წარმართვა;

7.21.2. სტრატეგიული გეგმების შემუშავება და ასოციაციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;

7.21.3. ასოციაციის წლიური ფინანსური გეგმის და ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და გამგეობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

7.21.4. ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა აქტივების მართვა-განკარგვა და მათი წესდების შესაბამისად გამოყენების უზრუნველყოფა;

7.21.5. ასოციაციის ხარჯების და სხვადასხვა პროექტების ბიუჯეტების მონიტორინგი;

7.21.6. ასოციაციის შიდა რეგულაციების პროექტების შემუშავება და გამგეობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

7.21.7. ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება და გამგეობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

7.21.8. ასოციაციის თანამშრომლების სამუშაოზე მიღება და გათავისუფლება;

7.21.9. ასოციაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების, ფილიალების, რეგიონალური ოფისების, წარმომადგენლობების, სააგენტოების (მათ შორის საერთაშორისო) ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნა და გათავისუფლება;

7.21.10. ასოციაციის მიზნობრივი კომისიების ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნა და გათავისუფლება;

7.21.11. საავტორო უფლების მფლობელებთან ასოციაციის წევრობის ხელშეკრულებების გაფორმება;

7.21.12. საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის მიზნით უცხოეთის მსგავს ან ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომამდგენლობის ხელშეკრულებების გაფორმება;

7.21.13. საავტორო უფლებებით სარგებლობის ყველა სახის სალიცენზიო შეთანხმების და ჰონორარის შეგროვებასთან დაკავშირებით შეთანხმებების გაფორმება;

7.21.14. ასოციაციის სახელით ყველა სხვა სახის ხელშეკრულების დადება;

7.21.15. ასოციაციის ინტერესებიდან გამომდინარე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

7.21.16. სხვა ფუნქციების განხორციელება, რომლებიც ასოციაციის სხვა ორგანოთა კომპეტენციას არ განეკუთვნება.

7.22. გამგეობის (ასოციაციის) თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ბრძანების სახით.

7.23. გამგეობის წევრს და თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება:

7.23.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე;

7.23.2. სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

7.23.3. გარდაცვალებისას, აგრეთვე სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შემთხვევაში;

7.23.4. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში;

7.23.5. ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით თუ იგი უხეშად არღვევს წესდების მოთხოვნებს და ზიანს აყენებს ასოციაციის საქმიანობას ან მის მიზნებს.

7.24. გამგეობის სხდომებში სისტემატურად მონაწილეობის მიუღებლობის ან გამგეობის საქმიანობის შეფერხების შემთხვევაში, გამგეობას, ხმათა უმრავლესობით, უფლება აქვს დააყენოს ასეთი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი რიგგარეშე საერთო კრებაზე.

7.25. გამგეობის წევრის/თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას, გამგეობის მიერ, ხმათა უმრავლესობით მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება ასეთი ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს ორი თვისა, რომელზეც აირჩევა ახალი გამგეობა და თავმჯდომარე.

7.26. გამგეობის (ასოციაციის) თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ წესდებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებენ გამგეობის სხვა წევრები. მათ უფლება აქვთ თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულონ როგორც ერთობლივად, ასევე ერთპიროვნულად.

7.27. ასოციაციის ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან ასოციაციას უხელმძღვანელონ მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სათანადო წესით, იმოქმედონ ორგანიზაციის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, გამჭვირვალე ადმინისტრაციული, ფინანსური პროცედურებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გამოყენებით.

7.28. ასოციაციის ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან სულ მცირე წელიწადში ერთხელ საერთო კრებას წარუდგინონ ინდივიდუალური ანგარიშები, რომლებიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

7.28.1. ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიმართ არსებული ნებისმიერი ინტერესის შესახებ;

7.28.2. წინა საფინანსო წლის განმავლობაში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისგან მიღებული ნებისმიერი ანაზღაურების თაობაზე, მათ შორის, საპენსიო დანამატის, აგრეთვე ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით მიღებული სარგებლის შესახებ;

7.28.3. წინა საფინანსო წლის განმავლობაში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციისგან მიღებული იმ ჰონორარის შესახებ, რაც მათ მიიღეს, როგორც უფლების მფლობელებმა;

7.28.4. ნებისმიერი არსებული ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ასოციაციის ხელმძღვანელი პირის ინტერესებსა და ასოციაციის ინტერესებს შორის, ან ასოციაციის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებსა და ნებისმიერი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს შორის.

8. ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭო

8.1. ასოციაციის მიერ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესაბამისად განხორციელების კონტროლის მიზნით, ასოციაციაში იქმნება სამეთვალყურეო საბჭო.

8.2. უფლებათა სხვადასხვა კატეგორიის მფლობელი ასოციაციის წევრები სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყვნენ სამართლიანად.

8.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევს საერთო კრება ხუთი წლის ვადით, დამსწრე და/ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა ხმების უმრავლესობით.

8.4. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნან ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომელთა პროფესიული გამოცდილება მათ მიერ ეფექტიანი საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ასოციაციის წევრები.

8.5. საბჭოს შედგება შვიდი წევრისგან.

8.6. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებისამებრ როგორც ფიზიკურად შეკრების, ასევე დისტანციური წესით.

8.7. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს წევრის ან საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

8.8. საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ საბჭოს წევრებს ეცნობებათ სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე ელექტრონული კომუნიკაციის გზით, დღის წესრიგის მითითებით.

8.9. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრება სხდომის მომწვევი პირის მიერ.

8.10. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ფიზიკურად და/ან დისტანციურად ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

8.11. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება ფიზიკურად და/ან დისტანციურად დასწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

8.12. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების დაგროვების შეუძლებლობის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია იმავე სხდომაზე ხელახლა უყაროს კენჭი განსახილველ საკითხს ან აღნიშნული ფაქტის დადგომიდან ათი დღის ვადაში, საბჭოს თავმჯდომარის/წევრის მოწვევით, დანიშნოს საბჭოს რიგგარეშე სხდომა, იმავე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. რიგგარეშე სხდომაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, ათი დღის ვადაში კვლავ მოიწვევა რიგგარეშე სხდომები იქამდე, ვიდრე განსახილველ საკითხზე არ იქნება გადაწყვეტილება მიღებული.

8.13. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.

8.14. სამეთვალყურეო საბჭო, მისი შემადგენლობიდან, მისი უფლებამოსილების ვადით, ირჩევს

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს.

8.15. თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საბჭოს ნებისმიერ წევრს.

8.16. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

8.16.1. ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობას;

8.16.2. საერთო კრებას წარუდგენს ანგარიშს საბჭოს საქმიანობის შესახებ;

8.16.3. ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს და ნიშნავს სხდმის მდივანს;

8.16.4. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

8.17. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ დგება შესაბამისი ოქმი. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. საწინააღმდეგო აზრის შემთხვევაში, თავის პოზიციას საბჭოს წევრი აფიქსირებს წერილობითი ფორმით, რაც დაერთვება საბჭოს გადაწყვეტილებას.

8.18. სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე. სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე წელიწადში ერთხელ საერთო კრებას წარუდგენს საკუთარი საქმიანობის შესახებ ანგარიშს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან საერთო კრებას წარუდგინონ ინფორმაცია არსებული ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელმაც სამომავლოდ შეიძლება შეაფერხოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება.

8.19. არაგეგმიური ანგარიშის წარსადგენად, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევაზე გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის გამგეობა/თავმჯდომარე, ასოციაციის წევრთა არანაკლებ ერთი მეათედის ან საბჭოს მინიმუმ ხუთი წევრის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. საერთო კრება იმართება ასოციაციის თავმჯდომარის/გამგეობის მოწვევით, ასეთი მოთხოვნის თარიღიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

8.20. ასოციაციის წევრებს, ისევე, როგორც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას, რომლის უფლებებსაც ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე მართავს ასოციაცია, უფლება აქვთ, სამეთვალყურეო საბჭოს მიმართონ ჩართულობის, დახმარების ან/და დავის გადაწყვეტის მიზნით, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ასოციაციის აკრედიტაციას, ხელშეკრულების შეწყვეტას ან უფლებების გამოთხოვას, წევრობის პირობებს, აგრეთვე ჰონორარის შეგროვებას, განაწილებას ან/და მიზნობრივ დაქვითვას.

8.21. ასოციაციის არაწევრ პირებს, რომელთა უფლებების ან უფლებათა კატეგორიების მართვასაც ახორციელებს ასოციაცია, წესდების 8.20. მუხლით გათვალისწინებული უფლებით შეუძლიათ ისარგებლონ, როდესაც განსახილველი საკითხი შეეხება ჰონორარის შეგროვებას, განაწილებას ან/და მიზნობრივ დაქვითვას.

8.22. საბჭო ვალდებულია წესდების 8.20. და 8.21. მუხლების საფუძველზე წარდგენილ ყველა საჩივარს ან მოთხოვნას უპასუხოს წერილობით. უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს დასაბუთებული.

8.23. სამეთვალყურეო საბჭო წესდების 8.20. და 8.21 მუხლების საფუძველზე წარდგენილ მიმართვას განიხილავს დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს მიმართვიდან ექვსი თვის განმავლობაში.

8.24. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია წესდების 8.20. და 8.21 მუხლებით გათვალისწინებული დავა გადაწყვიტოს მხარეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და იმოქმედოს სამართლიანად და მიუკერძოებლად. დავის გადაწყვეტის პროცესის მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად.

8.25. დავის გადაწყვეტის პროცესში სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს, გამგეობის წევრებს/თავმჯდომარეს და ნებისმიერ თანამშრომელს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები. ამასთან, საბჭო ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებამდე შეისწავლოს წლიური ანგარიში და საბუღალტრო დოკუმენტები.

8.26. წესდების 8.20. და 8.21 მუხლების შესაბამისად წარმოშობილი დავა შეწყდება, თუ:

8.26.1. მხარეებმა ხელი მოაწერეს მორიგების შეთანხმებას;

8.26.2. ნებისმიერი მხარე სამეთვალყურეო საბჭოს გაუგზავნის შეტყობინებას ნებისმიერ დროს მას შემდეგ, რაც მიიღებს სამეთვალყურეო საბჭოს შეტყობინებას, რომ მხარეს აღარ სურს დავის გაგრძელება;

8.26.3. სამეთვალყურეო საბჭოს შეფასებით, საკითხი ვერ გადაწყდება ამ წესდების საფუძველზე წარმოშობილი დავის ფარგლებში, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება;

8.26.4. ამოიწურა საქმის წარმოებისთვის დაწესებული თავდაპირველი და დამატებითი ვადები, რის თაობაზედაც მხარეებს ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება.

8.27. წესდების 8.20. და 8.21 მუხლების შესაბამისად დავის განხილვა არ ართმევს მხარეს უფლებას, მიმართოს სასამართლოს.

8.28. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საბჭოს დანარჩენ წევრებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილება, უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

8.29. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტით, წევრების რაოდენობის ოთხ წევრამდე შემცირების შემთხვევაში, ინიშნება ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრება და საბჭოს ახალი არჩევნები. საბჭო ვალდებულია აღნიშნული ფაქტის შესახებ, ფაქტის დადგომიდან ათი დღის ვადაში აცნობოს ასოციაციის გამგეობას/თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია დანიშნოს ასოციაციის საერთო კრება, ასეთი მიმართვის თარიღიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

8.30. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომა არ ანაზღაურდება. შრომა შესაძლებელია ანაზღაურდეს მხოლოდ ასოციაციის საერთო კრებაზე დამსწრე და/ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა ხმების უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ასეთ შემთხვევაში, ანაზღაურება მოხდება ასოციაციის წესდების, „გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებისა და წახალისების შესახებ“ დებულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9. ასოციაციის კომისიები

9.1. ასოციაციის წესდების მოთხოვნათა შესრულების და დასახული მიზნების მიღწევის გაადვილების მიზნით, გამგეობის გადაწყვეტილებით, საქმიანობის ცალკეული მიმართულებების მიხედვით შესაძლებელია სპეციალური, მიზნობრივი კომისიების შექმნა, რომლებიც შეიძლება დაკომპლექტდეს, როგორც ასოციაციის წევრების, ასევე მოწვეული პირებისგან.

9.2. სპეციალური, მიზნობრივი კომისიების წევრების შრომა არ ანაზღაურდება.

9.3. კომისიების დაკომპლექტების წესს, მათ სტრუქტურას და საქმიანობის მიმართულებებს ადგენს ასოციაციის გამგეობა.

9.4. კომისიები იძლევიან რეკომენდაციებს და გასცემენ დასკვნებს, როგორც ასოციაციის ტაქტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრის, აგრეთვე ცალკეული საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

10. ჰონორარის განაწილების ძირითადი წესები და პრინციპები

10.1. ასოციაცია ვალდებულია შეგროვებული ჰონორარი გაანაწილოს პროპორციულობის, არადისკრიმინაციულობის, სათანადო და სამართლიანი განაწილების პრინციპების დაცვით.

10.2. საავტორო უფლების მფლობელზე ჰონორარი ნაწილდება ნაწარმოების გამოყენების პროპორციულად, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების გამოყენების წილს, ასოციაციის მიერ გაცემული სალიცენზიო შეთანხმების/შეთანხმების და უცხოეთის პარტნიორ კოლექტიური მართვის ორგანიზაციასთან გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების შესაბამისად, შეგროვებულ ჰონორართან მიმართებაში. (პროპორციულობის პრინციპი).

10.3. საავტორო უფლების მფლობელის კუთვნილი ჰონორარის განაწილებისას აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით. (არადისკრიმინაციულობის პრინციპი).

10.4. განაწილებული ჰონორარი, საავტორო უფლების მფლობელისათვის გადასახდელად, უნდა აღწევდეს არსებით ზომას, იმ ხარჯებთან შედარებით, რომელიც საჭიროა მისი შეგროვება/გადახდისთვის. ასოციაცია, ეკონომიკური მიზანშეწონილობის უზრუნველსაყოფად აგროვებს ჰონორარს კონკრეტული უფლების მფლობელისათვის, საანგარიშო პერიოდების განმავლობაში, ვიდრე ჰონორარის სიდიდე არ მიაღწევს გადახდისთვის განსაზღვრულ აუცილებელ ოდენობას, რაც დგინდება წესდების 10.16 მუხლის შესაბამისად (მიზანშეწონილობის პრინციპი).

10.5. ასოციაცია შეგროვებული ჰონორარის განაწილებისას ეყრდნობა ნაწარმოებების გამოყენების სათანადო მონაცემებს და ჰონორარის უფლების მფლობელებზე განაწილებისას ხელმძღვანელობს სათანადობის პრინციპის დაცვით (სათანადობის პრინციპი).

10.6. ასოციაცია შეგროვებული ჰონორარის განაწილებისას ეყრდნობა ნაწარმოებების გამოყენების მონაცემებს, რომელიც ჰონორარის უფლების მფლობელებზე განაწილებას უზრუნველყოფს სამართლიანობის პრინციპის დაცვით (სამართლიანობის პრინციპი).

10.7. ასოციაცია ვალდებულია შეგროვებული ჰონორარი უფლების მფლობელებს გადაუხადოს იმ ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ცხრა თვისა, რომელშიც შეგროვდა ჰონორარი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს კონკრეტულად მოსარგებლეების ანგარიშგებასთან, უფლებების, უფლების მფლობელების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ობიექტური მიზეზები, საჭიროა, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციამ უფლების მფლობელებთან დააზუსტოს ნაწარმოების ან/და ამ კანონით დაცული სხვა ობიექტების შესახებ ინფორმაცია ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომლის გამოც დადგენილი ვადის დაცვა ვერ ხერხდება.

10.8. თუ უფლების მფლობელების იდენტიფიცირების ან მათი მიკვლევის შეუძლებლობის გამო უფლების მფლობელებისთვის ჰონორარის გადახდა ვერ ხერხდება წესდების 10.7. მუხლით დადგენილ ვადაში, ამ ვადიდან გამონაკლისი არ გამოიყენება და შეგროვებული თანხები ინახება ასოციაციის ცალკე ანგარიშზე.

10.9. ასოციაციამ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა უფლების მფლობელების იდენტიფიცირებისა და მიკვლევისთვის. კერძოდ, წესდების 10.7. მუხლით დადგენილი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს სამი თვისა, თავისი ვებსაიტის მეშვეობით ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია იმ ნაწარმოების შესახებ, რომლის ერთი ან ერთზე მეტი უფლების მფლობელი იდენტიფიცირებული არ არის.

10.10. ჰონორარს, რომელიც ვერ განაწილდა იმ ფინანსური წლის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში, რომელშიც იგი შეგროვდა, ენიჭება გაუნაწილებელი ჰონორარის სტატუსი.

10.11. ასოციაციამ უფლებების მართვიდან მიღებული შემოსავალი სრულად უნდა გაუნაწილოს უფლების მფლობელებს, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

10.12. ასოციაციის თავმჯდომარე ვალდებულია საერთო კრებაზე წევრებს აცნობოს გაუნაწილებელი ჰონორარის, მათ შორის, მისი ოდენობისა და წარმომავლობის შესახებ. წევრთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას გაუნაწილებელი ჰონორარის გამოყენების შესახებ, უფლების მფლობელების მიერ ამ თანხების ანაზღაურების უფლების მოთხოვნის ხელყოფის გარეშე. საერთო კრება უფლებამოსილია გაუნაწილებელი ჰონორარის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ასოციაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, აგრეთვე კრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია დადგენილ იქნას გაუნაწილებელი ჰონორარის განკარგვის ზოგადი წესი.

10.13. ასოციაცია უფლებამოსილია საერთო კრებაზე დამსწრე და/ან მასზე წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გაუნაწილებელი ჰონორარიდან თანხები გადარიცხოს ასოციაციის მიერ კონკრეტული მიზნობრიობით შექმნილ ფონდებში. ამ ფონდებში გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე უნდა იყოს და ყოველწლიურად უნდა გამოქვეყნდეს ასოციაციის ვებსაიტზე.

10.14. ასოციაცია ვალდებულია უფლების მფლობელებს ჰონორარის გადახდასთან ერთად წარუდგინოს ანგარიშები, რომლებიც უნდა შეიცავდეს მათი უფლებების გამოყენების შესახებ ინფორმაციას. ანგარიშების ფორმას ამტკიცებს ასოციაციის გამგეობა.

10.15. ასოციაცია უფლებამოსილია განკარგოს ის ჰონორარი, რომელიც განაწილებული/მოთხოვნილი არ იქნა სამი წლის განმავლობაში. ეს ვადა აითვლება იმ ფინანსური წლის დასრულებიდან, რომელშიც ეს ჰონორარი შეგროვდა. ასეთი ჰონორარი შეიძლება მიემატოს უფლების მფლობელებისთვის გასანაწილებელი ჰონორარის ოდენობას ან გამოყენებულ იქნას იმგვარად, რომ სარგებელი მოუტანოს უფლების მფლობელებს, მათ შორის, გადაირიცხოს წესდების 10.13. მუხლით განსაზღვრულ ფონდებში. ჰონორარის განკარგვის შესაბამისი ფორმის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ასოციაციის წევრთა საერთო კრება დამსწრე და/ან მასზე წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენილ წევრთა უმრავლესობით.

10.16. შეგროვებული ჰონორარის განაწილების დეტალურ წესებს, მათ შორის ნაწარმოებების გამოყენების სეგმენტებისა და უფლების მფლობელების შესაბამისი კატეგორიების მიხედვით განაწილების წესს, ადგენს ასოციაციის გამგეობა, რა დროსაც დაცული უნდა იყოს წესდების მე-10 მუხლითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები და პრინციპები.

11. ასოციაციის ადმინისტრაცია

11.1. ადმინისტრაცია შედგება ასოციაციის მიერ (მათ შორის ცალკეული პროექტების განხორციელების პროცესში) დაქირავებული პირებისგან.

11.2. უფლებების მართვის საფასურის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ასოციაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის 20%-ს. ასოციაცია ვალდებულია უფლებების სამართავად გაწეული დასაბუთებული და დადასტურებული ხარჯების მიღმა ნებისმიერი თანხა, გარდა წესდების 11.3 მუხლით გათვალისწინებული თანხისა, გადაანაწილოს უფლების მფლობელებზე იმ შემთხვევაშიც

კი, თუ უფლებების სამართავად გაწეული ხარჯები შეგროვებული ჰონორარის 20%-ზე ნაკლებია.

11.3. ასოციაციის მიერ შეგროვებული ჰონორარის ნაწილი აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას ასოციაციის იმ ფონდების საქმიანობისთვის, რომელთა მიზანია საავტორო უფლებების მფლობელების, ვის ინტერესებშიც მოქმედებს ეს ორგანიზაცია, შემოქმედებითი და სოციალური საჭიროებების მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ამ მუხლით განსაზღვრული მიზნობრივი დაქვითვები გამოიყენება ასოციაციის წესდებითა და საერთო კრების მიერ დადგენილი წესით.

11.4. უფლებების მართვის საფასური და სხვა მიზნობრივი დაქვითვები უნდა შეესაბამებოდეს ასოციაციის მიერ უფლების მფლობელებისთვის გაწეულ მომსახურებებს, მათ შორის, როცა ეს შესაძლებელია, წესდების 11.5 მუხლში მითითებული მომსახურების ჩათვლით, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

11.5. ასოციაციის მიერ სოციალური, კულტურული ან საგანმანათლებლო საქმიანობისთვის მიზნობრივი დაქვითვა გამოიყენება ასოციაციის წესდებითა და საერთო კრების მიერ დადგენილი წესით

12. ასოციაციის ქონება

12.1. ასოციაციის ქონებას შეადგენს წესდებით განსაზღვრული საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო ძირითადი ფონდები, მათ შორის, საბრუნავი სახსრები და სარეზერვო ფონდები, ასევე სხვა მატერიალური ქონება, რომელიც ასახულია ასოციაციის ბალანსში.

12.2. ასოციაციის სახსრების წარმოქმნის წყაროებია:

12.2.1. საქართველოში და საზღვარგარეთიდან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის შედეგად შეგროვებული ჰონორარი;

12.2.2. ასოციაციის წევრთა საწევრო და ნებაყოფლობითი შენატანები;

12.2.3. გრანტები და საქველმოქმედო შენატანები;

12.2.4. ასოციაციის მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;

12.2.5. სხვა წყაროები, რომლებიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით და ემსახურება ასოციაციის მიზნებს.

12.3. ასოციაციას შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს ქონება, რომელიც ხელს უწყობს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

12.4. ასოციაციის ქონება დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

13. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

13.1. ასოციაციის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. ასოციაციის ლიკვიდაცია შესაძლებელია:

13.2.1. ასოციაციის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით თუ მას ხმას მისცემს წევრთა საერთო რაოდენობის ოთხი მეხუთედი

13.2.2. ასოციაციის გაკოტრების შემთხვევაში.

13.3. ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესს წარმართავს ასოციაციის გამგეობა ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული სხვა ლიკვიდატორები.

13.4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ასოციაციის ქონება გამოიყენება კანონით დადგენილი წესით.

14. დასკვნითი დებულებები

14.1. წესდება ძალაში შედის ასოციაციის საერთო კრების მიერ მისი მიღების მომენტიდან.

14.2. ასოციაციის საქმიანობის დეტალები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ წესდებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესდების საფუძველზე შემუშავებული შიდა რეგულაციებით.

14.3. წესდება უნდა განთავსდეს ასოციაციის ვებსაიტზე ან ნებისმიერი სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი გახდეს ასოციაციის წევრებისთვის მისი მიღებიდან ორი კვირის ვადაში.

მიღებულია ასოციაციის საერთო კრების მიერ 05.11.2023 წელს.